

შპს "ავტო იმპორტ ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	110,949.03	126,805.17
არამატერიალური აქტივები	5	45,077.22	25,822.62
საინვესტიციო ქონება	10	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		156,026.25	152,627.79
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	29,819.36	319,910.02
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	74,842.72	40,259.00
მარაგები	8	7,466,350.99	9,282,011.60
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
გაცემული სესხები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,571,013.07	9,642,180.62
სულ აქტივები		7,727,039.32	9,794,808.41

მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		292,577.89	57,753.56
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		50,951.03	812,199.00
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		343,528.92	869,952.56

ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-

მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	200,952.00	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	7,198,003.90	8,930,452.14
საგადასახადო ვალდებულებები		(15,445.50)	(5,596.29)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,383,510.40	8,924,855.85
სულ ვალდებულებები		7,383,510.40	8,924,855.85
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,727,039.32	9,794,808.41

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი : ზურაბ გვარამია

შპს "ავტო იმპორტ ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	110,949.03	126,805.17
არამატერიალური აქტივები	5	45,077.22	25,822.62
საინვესტიციო ქონება	10	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		156,026.25	152,627.79
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	29,819.36	319,910.02
საეაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	74,842.72	40,259.00
მარაგები	8	7,466,350.99	9,282,011.60
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
გაცემული სესხები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,571,013.07	9,642,180.62
სულ აქტივები		7,727,039.32	9,794,808.41
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		292,577.89	57,753.56
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		50,951.03	812,199.00
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		343,528.92	869,952.56
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	200,952.00	-
საეაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	7,198,003.90	8,930,452.14
საგადასახადო ვალდებულებები		(15,445.50)	(5,596.29)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7,383,510.40	8,924,855.85
სულ ვალდებულებები		7,383,510.40	8,924,855.85
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,727,039.32	9,794,808.41

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი : ზურაბ გვარამია




შპს "ავტო იმპორტ ჯორჯია"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	32,218,990	43,070,084
თვითღირებულება	13	(31,208,598)	(40,429,865)
საერთო მოგება		1,010,393	2,640,220
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,232,294)	(1,079,287)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(481,594)	(468,785)
სხვა ხარჯები	15	(19,042)	(12,280)
საოპერაციო მოგება		(722,536)	1,079,868
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	17	(17,634)	(6,380)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(21,078)	(29,271)
მოგება დაბეგვრამდე		(761,248)	1,044,217
მოგების გადასახადი	18	-	-
წმინდა მოგება		(761,248)	1,044,217
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(761,248)	1,044,217

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი : ზურაბ გვარამია

შპს "ავტო იმპორტ ჯორჯია"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	32,218,990	43,070,084
თვითღირებულება	13	(31,208,598)	(40,429,865)
საერთო მოგება		1,010,393	2,640,220
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,232,294)	(1,079,287)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(481,594)	(468,785)
სხვა ხარჯები	15	(19,042)	(12,280)
საოპერაციო მოგება		(722,536)	1,079,868
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	17	(17,634)	(6,380)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(21,078)	(29,271)
მოგება დახეგვრამდე		(761,248)	1,044,217
მოგების გადასახადი	18	-	-
წმინდა მოგება		(761,248)	1,044,217
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(761,248)	1,044,217

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი : ზურაბ გვარამია




შპს "ავტო იმპორტ ჯორჯია"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	386,031		-232,018	154,013
წმინდა მოგება			1,044,217	1,044,217
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,044,217	1,044,217
გაცემული დივიდენდი			-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(328,277)			(328,277)
2023 წლის 31 დეკემბერი	57,754	-	812,199	869,953
წმინდა მოგება			(761,248)	(761,248)
სხვა სრული შემოსავალი		-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(761,248)	(761,248)
გაცემული დივიდენდი			-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	234,824			234,824
2024 წლის 31 დეკემბერი	292,578	-	50,951	343,529.36

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი : ზურაბ გვარამია

შპს "ავტო იმპორტ ჯორჯია"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	386,031		-232,018	154,013
წმინდა მოგება			1,044,217	1,044,217
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,044,217	1,044,217
გაცემული დივიდენდი			-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(328,277)			(328,277)
2023 წლის 31 დეკემბერი	57,754	-	812,199	869,953
წმინდა მოგება			(761,248)	(761,248)
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(761,248)	(761,248)
გაცემული დივიდენდი			-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	234,824			234,824
2024 წლის 31 დეკემბერი	292,578	-	50,951	343,529.36

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი : ზურაბ გვარამია



შპს "ავტო იმპორტ ჯორჯია"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	შენიშვნა	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება		(761,248)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		91,581
- ცვეთა	4/5	52,869
- მოგების გადასახადი	18	-
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	15	-
- მარაგების გაუფასურება	15	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება/ჩამოწერა		-
- ცვლილება ანარიცხებში		-
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან		-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		21,078
- წმინდა ფინანსური ხარჯი	17	17,634
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		38,779
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	(34,584)
- მარაგები	8	1,815,661
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	(1,732,448)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(9,849)
- გადავადებული შემოსავალი		-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(630,888)
- გადახდილი პროცენტები	17	(17,634)
- გადახდილი მოგების გადასახადი	18	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(648,522)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	4/5	(56,268)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	4/5	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა		-
გაცემული სესხები		-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(56,268)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		234,824
- სასესხო ვალდებულებების ზრდა	11	0
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	11	200,952
- გადახდილი დივიდენდები		-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		435,776
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		(10,539)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა სხვაობა		(279,552)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		319,910
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		29,819

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი : ზურაბ გვარამია

შპს "ავტო იმპორტ ჯორჯია"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

	შენიშვნა	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(761,248)
წმინდა მოგება		91,581
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		
- ცვტა	4/5	52,869
- მოგების გადასახადი	18	-
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	15	-
- მარაგების გაუფასურება	15	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება/ჩამოწერა		-
- ცვლილება ანარიცხებში		-
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან		-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		21,078
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		17,634
- წმინდა ფინანსური ხარჯი	17	38,779
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(34,584)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	
- მარაგები	8	1,815,661
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	(1,732,448)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(9,849)
- გადავადებული შემოსავალი		-
		(630,888)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(17,634)
- გადახდილი პროცენტები	17	
- გადახდილი მოგების გადასახადი	18	-
		(648,522)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(56,268)
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	4/5	
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	4/5	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა		-
გაცემული სესხები		(56,268)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		234,824
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	11	0
- სასესხო ვალდებულების ზრდა	11	200,952
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა		-
- გადახდილი დივიდენდები		435,776
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(10,539)
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება		(279,552)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა სხვაობა		
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		319,910
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		29,819

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი: ზურაბ გვარამია




1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ავტო იმპორტ ჯორჯია“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 01 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 406203120 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მეორადი ავტომობილების იმპორტი და

კომპანიის პარტნიორები არიან:

100%-იანი წილის მფლობელი გურამ როსტიაშვილი

კომპანიის დირექტორია გურამ როსტიაშვილი.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებითი დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპრიცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედეგის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	30 წელი
მანქანა დანადგარები	5-10 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	4-5 წელი
ავტომობილები	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (5-7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.
- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი სასამართლო დავა.

4. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	მიწა	დაუმონტაჟებული მოწყობილობები	ჯამი
ლარში										
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	19,361	-	-	46,293	75,820	-	-	141,474
შესყიდვა		-	3,310	-	-	14,029	9,579	-	-	26,918
გასვლა		-	-		-	-				-
გაუფასურება										-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია										-
გადაფასების რეზერვი								-		-
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	22,670	-	-	60,322	85,399	-	-	168,391
დაგროვილი ცვეთა										
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	1,998	-	-	6,184	6,487	-	-	14,668
ცვეთის ხარჯი		-	3,772	-	-	11,214	27,788	-	-	42,774
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-	-		-	-	-			-
2024 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	5,770	-	-	17,398	34,275	-	-	57,442
საბალანსო ღირებულება										
2023 წლის ბოლოს	-	-	17,363	-	-	40,109	69,333	-	-	126,805
2024 წლის ბოლოს	-	-	16,901	-	-	42,924	51,124	-	-	110,949

5. არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2023 წლის ბოლოს	34,167			34,167
შემოსავლა	29,350			29,350
გასვლა				-
2024 წლის ბოლოს	63,517	-	-	63,517
	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია				
2023 წლის ბოლოს	8,345			8,345
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	10,095			10,095
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				-
2024 წლის ბოლოს	18,440	-	-	18,440
	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება				
2023 წლის ბოლოს	25,823	-	-	25,823
2024 წლის ბოლოს	45,077	-	-	45,077

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	12/31/2024	12/31/2023
ფული სალაროში	-	-
ფული საბანკო ანგარიშებზე	29,819	319,910
	29,819	319,910

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	74 843	40 259
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	-
სხვა მოთხოვნები	-	5 597
	74 843	45 856

8. მარაგები

მარაგები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	12/31/2024	12/31/2023
მზა პროდუქცია	-	-
ნედლეული	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
საქონელი	7,466,351	9,282,012
სხვა მარაგები	-	-
	7,466,351	9,282,012

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	7 198 004	8 930 453
გადასახდელი ხელფასები	-	-
გადასახდელი პროცენტები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
	7 198 004	8 930 453

10. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება	12/31/24	12/31/23
რეალური ღირებულება 1.01.2024		
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან		
რეალური ღირებულება 31.12.2024	-	-
	-	-

11. სესხები

ლარი	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	12/31/24	12/31/23	12/31/24	12/31/23
ბანკის სესხები	200 952	-	-	-
დაკავშირებული მხარეების სესხები			-	
ოვერდრაფტები				
სულ სესხები	200 952	-	-	-

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები, შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფულადი ნაკადების მოძრაობა	ფინანსური ინდიკატორები	დამოკიდებული მხარეები
სესხის ძირის დაფარვა	1623848.00	
სესხის აღება	1824800.00	
პროცენტის დაფარვა	13823,76	
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
პროცენტის დარიცხვა		
გადაფასება		
2024 წლის 31 დეკემბერი		

12. ამონაგები

ამონაგები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	12/31/24	12/31/23
მზა პროდუქციის რეალიზაცია	32 218 990	43 070 084
ნედლეულის რეალიზაცია	-	-
მომსახურების რეალიზაცია	-	-
	32 218 990	43 070 084

13. თვითღირებულება

თვითღირებულება 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	12/31/24	12/31/23
მზა პროდუქციის თვითღირებულება	31 208 598	40 429 865
ნედლეულის თვითღირებულება	-	-
მომსახურების თვითღირებულება	-	-
	31 208 598	40 429 865

14. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/24	12/31/23
სარეკლამო ხარჯები	481 234	468 579
საწვავის ხარჯი	-	146
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	360	60
რეალიზაციის დანახარჯები	-	-
	481 594	468 785

15. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	12/31/24	12/31/23
დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი	-	-
მარაგების გაუფასურება	-	-
დაზღვევის ხარჯი	17 498	11 224
მზა პროდუქციის განადგურების ხარჯი	-	-
მოგების გადასახადის ხარჯი - კანონმდებლობის თანახმად	-	-
ქონების გადასახადი	1 544	1 056
	19 042	12 280

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	12/31/24	12/31/23
შრომის ანაზღაურება	891 049	858 912
ცვეთა და ამორტიზაცია	52 869	19 321
საგადასახადო ხარჯი	11 886	-
საკონსულტაციო ხარჯი	8 751	1 178
რემონტის ხარჯი	18 384	11 602
ბანკის მომსახურება	40 836	37 644
წარმომადგენლობითი ხარჯები	10 923	554
იჯარის ხარჯი	55 634	42 296
მივლინების ხარჯები	41 770	31 614
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	90 796	65 964
კომუნიკაციის ხარჯები	9 395	9 113
	1 232 294	1 078 199

17. რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები

	12/31/24	12/31/23
პირდაპირი მასალები	31 208 598	40 429 865
შრომითი ანაზღაურება	-	-
კომუნალურები	-	-
იჯარა	-	-
ცვეთა	-	-
დამხმარე მასალები	-	-
რემონტები	-	-
სხვა	-	-
	31 208 598	40 429 865

18. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	12/31/24	12/31/23
ბანკის სესხის პროცენტი	13 924	4 529
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი	-	-
სხვა ფინანსური ხარჯები	3 710	1 851
	17 634	6 380

19. მოგების გადასახადი

მოგების დადასახადის ხარჯი 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	12/31/24	12/31/23
მიმდინარე მოგების ხარჯი	-	-
	-	-

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

შენიშვნები-14

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
2024 წლის		-
სესხები	-	200 952
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		7 198 004
2024 წლის ბოლოს	-	7 398 956

ფინანსური აქტივები

ლარი	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
2024 წლის		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		29 819
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		74 843
გაცემული სესხები		-
2024 წლის ბოლოს	-	104 662

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	29 819			29 819
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	74 843			74 843
გაცემული სესხები		-			-
სულ ფინანსური აქტივები	-	104 662	-	-	104 662
ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სესხები	11	200 952			200 952
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	7 198 004			7 198 004
სულ ფინანსური ვალდებულებები	20	7 398 956	0	0	7 398 956
ლიკვიდურობის რისკი					

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

პირობითი ვალდებულება

კომპანიას არ აქვს სასამართლო დავები დებიტორებთან .

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი : ზურაბ გვარამია

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

პირობითი ვალდებულება

კომპანიას არ აქვს სასამართლო დავები დებიტორებთან .

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

დირექტორი: გურამ როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი : ზურაბ გვარამია

